F-343
1996

# დილა

მაისი-ივნისი
1996 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

დავით გურამიშვილი

## სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობას სანაცვლოდ სათქმელი

ურმავ, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო;
იქით-აქეთ მიიხედე, ათვალიარეო,
სცან საწუთრო მუხანათი, სალმობიარეო.
არს გზა ვიწრო, ორმო-ხნარცვი მოგანიარეო,
გაუფრთხილდი, არ ჩავარდე, ამოდ იარეო,
ნუ გახდები უფალთანა გულმანკიარეო,
გულმობილად ენა-პირი ალმობიარეო,
შეიყვარე საყვარელი, ანებიარეო,
არაფერი მიაყენო საუდიარეო,
რაც გეცოდოს, შეინანე, მღრდელს აღიარეო,
ილოცე და იმარხულე და ეზიარეო,
არ შესცვალო უბედურად საბედნიარეო,
დავით რაც გრქვა შვენიერად, აშვენიარეო.
არ შესცვალო უბედურად საბედნიარეო,
დავით რაც გჭრქვა შვენიერად, აშვენიარეო,
დავით რაც გჭრქვა შვენიერად, აშვენიარეო.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# საუბარი ქრისტეს შობის შესახებ

F 6293

თითოეულ ჩვენგანს გვყავს ნათესავები, ახლობლები, ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები. ჩვენ კარგად ვიცნობთ მათ, ვიცით, როგორები არიან, რა მოსწონთ, რა უყვართ, ან პირიქით, რა არ მოსწონთ, რამ შეიძლება გული ატკინოთ. მაგრამ ვიცნობთ თუ არა კარგად ჩვენთვის ყველაზე ახლობელ არსებას, ჩვენს ღმერთს – იესო ქრისტეს?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო: ანგელოზები, ზეცა თავისი ვარსკვლავებით, მზითა და მთვარით, ღრუბლებითა და ცისარტყელებით; დედამიწა ზღვებითა და მდინარეებით, მთებითა და მინდვრებით, ყვავილებით, ხეებით, ჩიტებითა და ცხოველებით, და ეს ყველაფერი, როგორც ერთი დიდი სახლი, აჩუქა ადამიანს. თვით ადამიანიც ღმერთმა შექმნა და მიანიჭა სიცოცხლის ძალა. ვიცით ასევე, რომ ადამიანმა დაივიწყა თავისი მშობელი ღმერთი და მიატოვა ის, მაგრამ ღმერთმა ადამიანს ამის პასუხად სამაგიერო კი არ გადაუხადა, არამედ სიყვარულით ეცადა გაეხსენებინა თავისი თავი და ესწავლებინა სწორი და ბედნიერი ცხოვრება. ასევე იქცევიან ხოლმე ჩვენი მშობლებიც. ჩვენ ხშირად არ ვუჯერებთ დედას და მამას, ხშირად გულსაც ვტკენთ, მაგრამ ისინი უარს კი არ ამბობენ ჩვენზე, კი არ გვტოვებენ ამის გამო, არამედ ცდილობენ აგვიხსნან ჩვენი შეცდომები და გვასწავლონ, როგორ მოვიქცეთ სწორად. ისინი ასე იმიტომ იქცევიან, რომ ვუყვარვართ.

ღმერთს იმდენად უყვარს ადამიანი, რომ გადაწყვიტა მისი სახე მიეღო, თავისი ცხოვრებით მაგალითი მიეცა ყველასათვის და ასე ესწავლებინა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი.

ესე იგი, იესო ქრისტე ერთდროულად ღმერთიც არის და ადამიანიც. როგორც ღმერთი, ის ყოველთვის არსებობდა და იარსებებს მარადიულად; როგორც ადამიანი ის დაიბადა ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის, ზუსტად იმდენი წლის წინათ, რომელი წელიც ახლაა – ჩვენ ხომ წელთაღრიცხვას ქრისტეს დაბადებიდან ვანგარიშობთ. ქრისტე დაიბადა საქართველოდან არც ისე შორს, პალესტინაში, ქალაქ ბეთლემის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში, სადაც მწყემსები უამინდობის დროს თავს აფარებდნენ ხოლმე. ქრისტეს დედამ – ღვთისმშობელმა მარიამმა – პატარა იესო ბაგაში მიაწვინა, სადაც ცხვრებისა და სხვა ცხოველებისათვის საკვებს ინახავდნენ.

ქრისტე, რომელმაც მთელი სამყარო შექმნა, ღმერთის შესაფერისი პატივით კი არ მოევლინა ქვეყანას, მეფეთა სასახლეები ან თუნდაც ჩვეულებრივი სახლი კი არ არჩია დაბადების ადგილად, არამედ ყველასაგან მოშორებით და დაფარულად დაიბადა. ასე, ქრისტეს დაბადებაშივე გამოჩნდა მისი თავმდაბლობა.

გარდა მარიამისა და იოსებისა, რომელიც ღვთისმშობელს ქრისტეს გაზრდაში უნდა დახმარებოდა, თავიდან ვერავინ გაიგო, რომ ამქვეყნად მოვიდა ღმერთი, რომელ-





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



საც ადამიანებისათვის მარადიული ცხოვრება უნდა მოეტანა (ამიტომ ვუწოდებთ ღმერთს მაცხოვარს).

ეს სასიხარულო ამბავი ანგელოზებმა პირველად მწყემსებს, უბრალო და თავმდაბალ ადამიანებს აუწყეს. მწყემსები გაემართნენ პატარა იესოს დაბადების ადგილისაკენ, რათა თაყვანი ეცათ მისთვის. მწყემსებთან ერთად ამ სიხარულს იზიარებდნენ ანგელოზებიც, რომლებიც ასე უგალობდნენ ახალდაბადებულ ქრისტეს : "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ეს იყო მიწისა და ზეცის საერთო დღესასწაული, რომელიც შემდეგ ყველას უნდა გაეზიარებინა.

ამის შემდეგ მაცხოვრის თაყვანსაცემად აღმოსავლეთის შორეული ქვეყნიდან მოვიდა სამი მოგვი ანუ ვარსკვლავთმრიცხველი. მათ ეს ამბავი შეიტყვეს არაჩვეულებრივი ვარსკვლავის მეოხებით, რომელიც წამოუძღვა მათ, გზა ასწავლა და ქრისტესთან მოიყვანა. მოგვები ძალიან განსწავლული და ბრძენი ადამიანები იყვნენ. მათ იცოდნენ, ვისთან მიდიოდნენ, ამიტომაც მიუტანეს საჩუქრები – ოქრო, გუნდრუკი და მური – ოქრო იმიტომ, რომ ქრისტე აღიარეს მეფედ და მეფის შესაფერისი ძღვენი მიართვეს. გუნდრუკი არის საკმეველი, სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც ტაძრებში აკმევენ ხოლმე ღვთისმსახურების დროს. ამით მათ ქრისტეს პატივს სცემდნენ, ვითარცა ღმერთს. მური არის სურნელოვანი ზეთი, რომელსაც გარდაცვლილებს სცხებენ. ამით მოგვებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ქრისტე, როგორც ადამიანი, მოკვდება, რათა შემდეგ მკვდრეთით აღდგეს, ანუ დაამარცხოს სიკვდილი, რადგან ღმერთი არის სიცოცხლე, რომელიც ისევე განაქარვებს სიკვდილს, როგორც მზის სინათლე ღამის სიბნელეს.

ქრისტეს დაბადების დღეს ანუ ქრისტეშობას ახლა მთელი მსოფლიო დღესასწაულობს. ქრისტეს აღიარებენ ღმერთკაცად და სიყვარულსა და პატივს მიაგებენ მას.

ქრისტემ თავისი დაბადებით უპირველესად თავმდაბლობა გვასწავლა. გვასწავლა, რომ საკუთარი თავი არავითარ შემთხვევაში სხვაზე უკეთესი არ უნდა გვეგონოს. რადგან ყოველ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, აქვს ისეთი თვისება, რაც სხვას არა აქვს, ან შეუძლია ისეთი საქმის კეთება, რაც სხვას არ ხელეწიფება. მაგალითად, ზოგი კარგად მღერის, ხატავს, ან ცეკვავს, ზოგს საინტერესო ამბების მოყოლა ეხერხება, ზოგი ექიმია და შეუძლია ავადმყოფი განკურნოს, ზოგიც – მასწავლებელი, – და ბავშვებს სასარგებლო ცოდნას გადასცემს.

თუ ჩვენს სხეულს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თვალები, ყურები, ცხვირი, პირი, ხელები, ფეხები, სულ სხვადასხვა საქმით არის დაკავებული, მაგრამ ყველა ერთ სხეულს ეკუთვნის და ერთ საერთო საქმეს აკეთებს. ასევე ჩვენც, ყველანი, ჩვენი თვისებებით შეუცვლელები ვართ და ყველამ ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი საქმის კეთება უნდა ვისწავლოთ. ესაა სიყვარული. სიყვარული ის არის, როცა ადამიანი მარტო საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე კი არ ზრუნავს, არამედ ცდილობს სხვა ადამიანსაც დაეხმაროს და სიხარული მიანიჭოს.

სიყვარულის უდიდესი მაგალითია ქრისტეს მთელი ცხოვრება, რაც სახარებაშია აღწერილი. მომავალში ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს ქრისტეს ცხოვრების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




უცხოპლანეტელებმა დედამიწაზე გადმოსცეს, რომ მათი მზის სისტემაში არის სამი პლანეტა A, B და C. ისინი ცხოვრობენ მზიდან მეორე პლანეტაზე. შემდეგ გადმოცემა ხარვეზებით წავიდა, მაგრამ მიღებული იქნა კიდევ ორი ცნობა, რომლებიდანაც, როგორც შემდეგ დადგინდა, არც ერთი არ იყო სწორი:

1. A – არ არის მზიდან მესამე პლანეტა;
2. B არის მეორე პლანეტა. რომელ პლანეტაზე (A, B თუ C-ზე) ცხოვრობენ უცხოპლანეტელები?

ნოდარ მაჭარაშვილი

მხატვარი გია ლაფაური

ირაკლი ლომოური
მხატვარი ომარ ჩუბინიძე

# კოტე, კატო და კლაპიტონი გაუგონართა ქვეყანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში.

გამოვიდა კოტე ციხიდან, დაუხვავეს წინ ნაირ-ნაირი კერძები, რაც გინდა, სულო და გულო...

– ოღონდ შოკოლადი არ დამანახოთ! – ამოიგმინა კოტემ და ჭამას შეუდგა, ჭამა და ჭამა, ჭამა, მაგრამ რა ჭამა, და უცებ გაახსენდა – კატო საპყრობილეში იჯდა! ლუკმა ყელში გაეჩხირა; მოიწყინა, დანაღვლიანდა.

დაკარგა მოსვენება კოტემ, აღარც თამაშობდა და აღარც ცელქობდა, წამდაუწუმ კატო ახსენდებოდა, ციხე-კოშკს უტრიალებდა, მაგრამ მიუდგომელი იყო ჯადოქრის ციხე.

კოტემ გადაწყვიტა ბავშვებისათვის დახმარება ეთხოვა, ხან ერთი ბიჭთან მივიდა და ხან მეორესთან, მაგრამ არავინ მოუსმინა. ბოლოს პატარა ბიჭმა უთხრა ჩურჩულით:

– აღარც მე მინდა აქ ყოფნა, მაგრამ ჯადოქრისა მეშინია, მეც დილეგში ჩამაგდებსო...

სასოწარკვეთილი კოტე ქალაქიდან გამოვიდა. შევიდა ტყეში, მიდის, მაგრამ



ვერსადაც ვერ მიდის. ტყეს კედელი აკრავს.

უცებ კოტე მახეს გადააწყდა. მახეში ჩიტი იყო გაბმული და ულონოდ ფართხალებდა. კოტემ ჩიტი გაათავისუფლა.

– მადლობა რითი გადაგიხადოთ? – ჰკითხა ჩიტმა.

– კატო ციხეში ჩაამწყვდია ჯადოქარმა და როგორ ვუშველო, არ ვიცით – უთხრა კოტემ გულისტკივილით.

– მე ვიცი, ვინც დაგეხმარებათო, – მიუგო ჩიტმა – კლაპიტონთან გავფრინდები და თქვენს ამბავს ვეტყვიო!

– კლაპიტონი ვინ არისო? – გაუკვირდა კოტეს.

– კლაპიტონი კარგი ბავშვების მეგობარიაო! – უპასუხა ჩიტმა.

– მე რომ ცუდი ვარო? – დაღონდა კოტე.

– ცუდი რომ იყო, მე ხომ არ გამათავისუფლებდიო! – უთხრა ჩიტმა და გაფრინდა.

ვერ მოასწრო კოტემ მოხედვა, რომ მის წინ კლაპიტონი გაჩნდა, თითქოს ციდან ჩამოვარდაო.

– შენა ხარ კოტეო? – ჰკითხა კლაპიტონმა.

– მე ვარო. – უპასუხა კოტემ.

– ჩიტმა ამბავი მომიტანა, ეგ თქვენი ჯადოქარიც, კარგად ვიცი, ერთი წუწული, ურჯუკი და ღვთის გარეგანი ვინმეა, მაგრამ ნუ გეშინია, მოვერევით. ოღონდ სასახლეში პირდაპირ ვერ მივალთ, ხერხი უნდა ვიხმაროთო!

კლაპიტონი და კოტე ტყეში გაუჩინარდნენ.

... რაღაც ხნის მერე ორივენი ჯადოქრის სასახლეს მიადგნენ, უცნაურად ჩაცმულ-მოკაზმულები და შეღებილ-მოხატულები.

ჯადოქარი გაოცდა:

– თქვენ ვინა ხართო?

– ჩვენ იმ ვარსკვლავიდან ჩამოვფრინდით, თქვენს ქალაქს რომ დაჰყურებს ღამღამობითო, – უთხრა კლაპიტონმა – გაგვიგია, ყველაზე გაუგონარი ბავშვები თქვენს ქვეყანაში ყოფილან. მაგრამ არა გვჯერა, გვინდა შევამოწმოთო!

– ჩემი ბავშვები ყველაზე ცუდები არიან სააქაოშიო! – ამაყად გამოაცხადა ჯადოქარმა – არ არსებობს ისეთი სიგლახე, რომ არ ჩაედინოთო!

– თქვენ თუ გიკეთებენ ცუდსო? – ჰკითხა კლაპიტონმა.

– მე რა უნდა გამიკეთონ, მაგათი მბრძანებელი ვარო! – უპასუხა ჯადოქარმა.

– თუ გიჯერებენ, ესე იგი, არ ყოფილან გაუგონრებიო! – თავი გააქნია კლაპიტონმა.

ჯადოქარი გაცხარდა:

– მე არაფერს ვუკრძალავ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ, მე იმაში მიჯერებენ, რომ არავის არაფერი არ დაუჯერონო!

– მაგრამ თუ გიჯერებენ, არც ყველაზე ცუდები ყოფილან და არც ყველაზე გაუგონრები, ალბათ, თქვენი ეშინიათ. მაგრამ თუ გიჯერებენ, უკვე კარგები ყოფილანო! – არ მოეშვა კლაპიტონი.

– როგორ არ გესმით! – განრისხდა ჯადოქარი – თავისთავად არიან ცუდები!.. აი, ერთი გოგო მყავს, ისეთი ცუდია, მეც კი არ მიჯერებსო!

– სანამ ჩვენი თვალით არ ვნახავთ, ვერ გენდობითო! – უთხრა კლაპიტონმა.

– მომგვარეთ კატოო! – ბრძანა ჯადოქარმა.

მოიყვანეს.

– თუ ეს პატარა გოგო ყველაზე ცუდია თქვენს ქვეყანაში, დილეგში კი არა, სასახლეში უნდა იჯდესო! – გამოაცხადა კლაპიტონმა.

– იმდენად გაუგონარია, რომ უკვე კარგიაო! – წამოსცდა ჯადოქარს.

– მაშ გაუგონართა ქვეყანა კი არა, დამჯერთა ქვეყანა ყოფილა, ეშინიათ და გიჯერებენ. აბა, მოიყვანეთ კიდევ ცუდები, იქნებ ეს ერთი გყავთ მართლა გაუგონარი, სხვებიც ვნახოთო! – თქვა კლაპიტონმა.

ჯადოქარმა სამი ბიჭი მოაყვანინა. სამივე ძუნძგლიანი და დაბრანძული.

– შეხედეთ, რა ცუდები არიანო! – კმაყოფილებით თქვა ჯადოქარმა.

– აბა, შევამოწმოთ, რამე უბრძანეთ, ვთქვათ, ჩემთან ერთად დილის გამამხნევებელი ვარჯიში შეასრულეთო! – უთხრა კლაპიტონმა, განმკლავი გააკეთა და ჩაბუქნა.



ჯადოქარმა უბრძანა, მაგრამ ბიჭებმა შორს დაიჭირეს თავი:

– რა დროს ვარჯიშია, შუადღის ძილის დროაო!

– აი, რა გაუგონარები არიან, ჩემიც კი არ ეშინიათო! –გამოაცხადა გახარებულმა ჯადოქარმა.

– თუ არ ეშინიათ, შურდულს რატომ არ გესვრიანო? – ჰკითხა კლაპიტონმა.

– ახლავე მესროლეთო! – უბრძანა ჯადოქარმა ბიჭებს.

ბიჭებმა შურდულები დააძრეს, ჯადოქარს ესროლეს და თავიდან გვირგვინიც კი ჩამოუგდეს.

– აკი ვამბობდი, დამჯერები არიან, გაუგონრები კი არაო! – თქვა კლაპიტონმა. – რასაც უბრძანებთ, იმას აკეთებენ, აი, თქვენ რომ ცოტა ხნით გაქრეთ და უთქვენოდ ისევ ისე ცუდად მოიქცნენ, მაშინ დავიჯერებთო!

– დაიჯერებთ? – ჩაეკითხა ჯადოქარი.

– დავიჯერებთო! – დაიიმედა კლაპიტონმა – აი, ამ ბოთლში ჩაძვერით ცოტა ხნით, რომ ბიჭებმა ველარ დაგინახონო!

– აგრე იყოსო! – დაეთანხმა ჯადოქარი და ბიჭებს მიუბრუნდა – აბა, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთო!

უცებ დაბნელდა, იელვა და ჯადოქარი ბოთლში აღმოჩნდა. კლაპიტონმა საცობი



სიყვარულდაგულოდ მოარგო შუშას და ბიჭებს უთხრა:

– ცუდები იმიტომ იყავით, რომ ჯადოქარი გატყვევებდათ, და ახლა კი თავისუფლები ხართ, თავისუფლები ყოველთვის კარგები არიან, გზა ხსნილია, სახლებში გაიქეცითო!

გაუგონართა ქვეყანა თვალის დახამხამებაში დაცარიელდა. ბავშვები სიმღერ--სიმღერით ბრუნდებოდნენ შინ.

კატო, კოტე და კლაპიტონი ერთად მიდიოდნენ. კლაპიტონს ხელში ბოთლი ეჭირა, რომელშიც ჯადოქარი იყო მომწყვდეული. მიადგნენ ზღვის ნაპირს. კლაპიტონმა დააპირა ბოთლის ზღვაში გადაგდება, მაგრამ. ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე ცელქი ბიჭი, რომელიც ნუმ-ნუმად უკან მოჰყვებოდათ, კლდეებიდან გამოძვრა, მოიმარჯვა შურდული, ესროლა ბოთლს და გატეხა.

იქაურობა დაბნელდა, იელვა და კლდის წვერზე გაჩნდა ჯადოქარი, ხმალი იშიშვლა და დაიღრიალა:

– კარგებო, ვერ წამიხვალთ ცოცხლებიო! – და კლაპიტონს ეკვეთა. ცელქი ბიჭი კოტეს შეება. დაიწყო ბრძოლა. კატო ტყისკენ გაიქცა, რომ ვინმე მოეყვანა მშველელად. მალე ტყიდან ნიტების გუნდი გამოვარინდა. წინ ის ნიტი მოუძღოდა, რომელიც კოტემ თავის დროზე გაათავისუფლა.

ნიტები ყოველ მხრიდან თავს დაესხნენ ჯადოქარს და კლაპიტონმა, ბოლოს და ბოლოს, ჯადოქარი კლდიდან ზღვაში გადაჩეხა. კოტემაც სძლია ცელქ ბიჭს, ყელზე ხმალი მიაბჯინა და იარაღი დააყრევინა.

კლაპიტონმა უთხრა:

– შენმა ბატონმა ჩვენი ჭირი წაიღო, ახლა ჭკუას მოუხმე და კარგი ბიჭი გახდი, თორემ თუ ისევ გაუგონარი იქნები, ნიტი ამბავს მომიტანს და ვაი შენი ბრალიო!

გაუშვეს. ბიჭს ნიტები გაჰყვნენ, თავზე დასტრიალებდნენ.

...ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მშობელ მხარეს მიადგნენ. კოტემ და კლაპიტონმა კატო სახლამდე მიაცილეს. აღმოჩნდა, რომ კოტე და კატო მეზობლები ყოფილი ყვნენ.

– აქამდე რატომ არ ვიცნობდით ერთმანეთსო? – გაუკვირდა კოტეს.

კლაპიტონმა აუხსნა:

– იმიტომ, რომ მეგობრობა მხოლოდ კარგმა ბავშვებმა იციან, ცუდები ვერავის ამჩნევენო!

ამ დროს კოტეს მშობლებიც გამოვიდნენ სახლიდან, და კარგული შვილი თვალცრემლიანებმა გულში ჩაიკრეს.

კლაპიტონი კოტეს და კატოს დაემშვიდობა, თან დაუბარა:

– ყველა ბავშვს უთხარით, კარგი იყოს და დამჯერი, და თუ მაინც რამე გაუჭირდა, ნიტს ამბავი გამოატანოს, იმწამსვე იქ გავჩნდებიო!

კატოს და კოტეს კლაპიტონი არ ეთმობოდათ, ნუ მიდიხარო!

კლაპიტონმა უთხრა:

– თქვენ ბავშვები აღარა ხართ, ისე გაიზარდეთ ამასობაში, ვერც კი გაიგეთ. ჩემი დახმარება აღარ დაგჭირდებათ, მაგრამ როცა მოგენატრებით, მეც თქვენთანა ვარო!

გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ჯგუბურია

# გიოს წიგნებიდან

გიო მამას ეუბნება:
– მე, რა მინდა, თუ იცი?
(მამა რას არ გააკეთებს
ციცქნა გიოს გულისთვის).

– მე რა ვიცი, – უთხრა მამამ, –
ეს შენ უნდა იცოდე.
– ამისრულებ, რასაც გეტყვი?
ხელი გამომიწოდე.



– რა თქმა უნდა, აგისრულებ,
თქვი, რა გინდა, თუ იცი,
(მამა რას არ გააკეთებს
ციცქნა გიოს გულისთვის).

– არაფერი მე არ მინდა,
შეგიძლია, მამიკო,
რაც არ მინდა, იგი მომცე?
(აი, თურმე, რა იყო).

– არაფერი როგორ მოგცე
ან რა სასურველია,
– მაშ რაღაცა რატომ ჰქვია,
თუკი არაფერია.

მამამ რაღაც მოიწყინა,
მოიწყინა კიომაც...
ვერაფერი მოისაზრეს,
თუმც ორივემ იომა...

თუმც იღონეს ყველაფერი,
ვერ ამოხსნეს ვერასგზით,
რატომ იყო არაფერი
ასეთი ბუმბერაზი!

მხატვარი ნანა ჭურღულია

ლაურა გორდიევიჩი

# დინოზავრის ნაკვალევზე

ხშირად გვახსენდება ხოლმე ბავშვობისას ბებოს მოყოლილი ზღაპრები და ის ბედნიერი წუთები, როდესაც საღამოს ბინდბუნდში ზღაპრის გმირებთან ერთად ზღაპრულ სამყაროში ვმოგზაურობდით. მთელი ჩვენი არსებით თანავუგრძნობდით მზეთუნახავ მეფის ასულს, რომელიც ტყვედ ჰყავდა ურჩხულს, და სუნთქვაშეკრული მოველოდით უთანასწორო ბრძოლაში მამაცი რაინდის მიერ ურჩხულის მოკვლას და ტყვეობიდან მზეთუნახავის გამოხსნას.

ჩვენს წარმოდგენაში ურჩხული ყოველთვის საზარელი გოლიათი იყო. მაგრამ საიდან გაჩნდნენ ურჩხულები ზღაპრებში? არსებობდნენ ისინი სინამდვილეში, თუ ეს მხოლოდ ბებოს ფანტაზიის ნაყოფი იყო?

დიახ, არსებობდნენ.



გიგანტური ცხოველები ცხოვრობდნენ დედამიწაზე მრავალი მილიონი წლის წინათ, როდესაც აქ ჯერ კიდევ არ იყვნენ ადამიანები.

დედამიწაზე განუწყვეტლივ ვითარდებოდა სიცოცხლე. დედამიწა იყო მასზე მცხოვრები ყოველი ცოცხალი არსების აკვანიც და საფლავიც. მაგრამ სანამ აქ პირველი ბინადარი გამოჩნდებოდა, დედამიწამ ბევრი ცვლილება განიცადა. თავიდან ის თითქმის მთლიანად წყლით იყო დაფარული. შემდეგ გაჩნდნენ მთები და წარმოიქმნა ხმელეთი. ხმელეთზე და წყალში აღმოცენდნენ მცენარეები, რომლებიც სულაც არ ჰგავდნენ დღევანდელს. მათი სიმაღლე 20-25 მეტრს აღწევდა, რაც დაახლოებით 5 სართულიანი შენობის სიმაღლეს უტოლდება.

მრავალი მილიონი წელი გავიდა, სანამ მარტივი სახეობის ცხოველებიდან წარმოიქმნებოდნენ უზარმაზარი ცხოველები — დინოზავრები. იყვნენ მტაცებელი დინოზავრები — გორგოზავრები და ტირანოზავრები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მსხვერპლს და მისი ხორცით იკვებებოდნენ. იყვნენ მშვიდობისმოყვარეებიც — აპატიოზავრები და ბრახიოზავრები. ისინი მხოლოდ მცენარეთა ტოტებით, ფოთლებითა და ბალახით იკვებებოდნენ.

დინოზავრები 12-15 მეტრი სიმაღლის და 18-23 მეტრი სი- [illegible]

დისა იყვნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა საკვების მისაღებად იოლად შეწვდომოდნენ ტანმაღალ ხეებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი დინოზავრი დაცული იყო ჯავშნით (ბაკანით).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ დედამიწაზე მოხდა გამყინვარება, რის შედეგადაც გიგანტური ხეები და ცხოველები გადაშენდნენ.

მეცნიერთა მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილია გოლიათი ცხოველების გაქვავებული ჩონჩხები. ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი.

ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ, მეცნიერმა და მკვლევარმა პეტრე ჭაბუკიანმა 1933 წელს დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, სათაფლიის მღვიმის კალთებზე აღმოაჩინა დინოზავრების ნაფეხურები; ეს დინოზავრები სულ ცოტა 120 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. პეტრე ჭაბუკიანის აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია, სიმრავლის მხრივ კი დღემდე მეტოქე არ გააჩნია.

თითქოს წერტილი დაესვა გოლიათი ცხოველების არსებობას ჩვენს პლანეტაზე და თანამედროვე ადამიანებს ვერასოდეს ვერ უნდა გვეხილა გარდასულ საუკუნეთა ეს საოცრება, მაგრამ...

ამ ასიოდე წლის წინათ მსოფლიო შეძრა სენსაციურმა ამბავმა: შოტლანდიაში — ლოხ-ნესის ტბაში მეზღვაურებმა იხილეს ტბიდან ამოყოფილი გიგანტური ცხოველის თავი, რომელიც მსწრაფლ გაუჩინარდა. მას შემდეგ ეს ცხოველი ნახეს ლოხ-ნესის მიდამოებში წყლის ნაპირზე გამოსული და გაოცებული დარჩნენ მისი სხეულის სიდიდით. სამწუხაროდ, უჩვეულო ცხოველის ფოტოფირზე აღბეჭდვა ვერ მოხერხდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბუნების ეს დღევანდელი საოცრება გოლიათი დინოზავრების უშუალო შთამომავალია, რომელმაც დღემდე მოაღწია და ზღაპარი სინამდვილედ აქცია. ასე რომ ზღაპრებში, ლეგენდებში არის თურმე სინამდვილის მარცვალი.

იქნებ ახლო მომავალში ვიხილოთ კიდეც ჩვენი "მეგობარი" დინოზავრი ფოტოფირზე აღბეჭდილი.

და ვინ იცის, ცოდვა რამდენ საოცრებას ინახავს ჩვენი დედამიწა.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

შალვა საბაშვილი

# რა ავსებს მთვარეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ხავსე მთვარეზე ლამაზი? გადმოსცქერის გავსებული მთვარე შუაღამით მიძინებულ დედამიწას და ისე ანათებს, ყველა საგანი მკვეთრად გამოსახული მოჩანს. წიგნის კითხვაც კი თავისუფლად შეგვიძლია.

მაგრამ გაივლის ორიოდე დღე და მთვარის დასავლეთ კიდეზე შავი ნამგალი გამოჩნდება, რომელიც სულ უფრო იზრდება. ერთ კვირაში მთვარე უკვე ნახევარწრეს ჰგავს, მერე კი განათებულ ნამგლად მოგვეჩვენება, სულ უფრო ილევა და ბოლოს ქრება. რამდენიმე დღეში ცის რომელიღაც წერტილში მოულოდნელად ვპოულობთ "ახალდაბადებულ" მთვარის ნამგალს და მას "ახალ მთვარეს" ვეძახით.

ადამიანთა თაობების თვალწინ რამდენჯერ "გამქრალა" და რამდენჯერ "დაბადებულა" მთვარე!

ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მთვარე დაახლოებით 5 მილიარდი წლისაა. იგი ყოველთვის არის ცაზე, მისი გაქრობა და დაბადება მოჩვენებითი მოვლენაა. რაშია საქმე?

უბრალოდ, მთვარე ცივი, ბნელი სხეულია. იგი არ ანათებს. მზით გაუნათებელი მთვარე ისევე უხილავია, როგორც ბნელში მყოფი ყოველი საგანი.

როცა დედამიწის გარშემო მოძრაობისას მთვარე ჩვენსა და მზეს შორის გაივლის ხოლმე, იგი უჩინარდება, რადგან მზით განათებული მისი ნახევარსფერო ჩვენთვის უხილავ "მიღმა" მხარეს აქცევა, ჩვენკენ მოქცეული მხარე კი მზის სხივებისათვის "მიუწვდომელი", ამიტომ გაუნათებელი და ბნელია.

ერთი კვირის მერე მთვარე მეოთხედ ორბიტას გაივლის, მზე მისი ხილული ზედაპირის ნახევარს გაანათებს და მთვარე ნახევარწრედ ჩანს. კიდევ ერთ კვირაში მთვარეც ჩვენგან მზის საპირისპირო მხარეს მოექცევა და სრულ დისკოდ მოგვევლინება. ასე რომ რაც უფრო ახლოსაა ცაზე მთვარე მზესთან, მით უფრო მცირე ნამგლის სახით ჩანს. ამიტომ თქვა შოთა რუსთაველმა:

"მთვარე მზესა მოშორდების, მოშორდება განანათებს" ო.

ისიც ცხადია, რომ მთვარის განათებული ნამგალი ყოველთვის მზის მხარეს იქნება ამოზნექილი. ამიტომ მცხრალი მთვარის ნამგალი აღმოსავლეთისკენ არის ამოზნექილი, ახალი მთვარისა კი – დასავლეთისაკენ.

ძველად ადამიანებს ძალზე აინტერესებდათ – რაზე დგას დედამიწა. გაირკვა, რომ არაფერზე; დედამიწაც მთვარესავით ცივი "ბურთია", ამიტომ კოსმოსიდან ისიც ხან სავსე დისკოდ გამოჩნდება, ხანაც - განათებული ნამგლის სახით.

სწორედ ეს დაამტკიცა შორეული პლანეტებისკენ მიმქროლავმა ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა "ვოიაჯერ-1"-მა 1977 წლის 12 სექტემბერს. იგი დედამიწას 12 მილიონი კმ-ით იყო დაშორებული, როცა ფოტოაპარატი დედამიწა-მთვარის სისტემისკენ მიმართა და სამახსოვრო სურათზე აღბეჭდა ორივე ეს სხეული. დიდი ნახევარწრე დედამიწაა, პატარა კი მთვარე. ორივენი კოსმოსის სივრცეში არიან და მზის ირგვლივ ორბიტაზე მიჰქრიან. მზე არ ჩანს, მაგრამ თქვენ მიხვდებით: იგი იქით არის, საითაც ამოზნექილია დედამიწისა და მთვარის "ნამგლები", ე.ი. მათგან მარჯვნივ, გაცილებით შორს.

ეს უნიკალური ფოტოსურათია! უყურეთ, დატკბით და იფიქრეთ!



ლალი ლაჭავა

ნახატი მიშიკო ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბებია ბეჰემოთის სათვალე



ბებია ბეჰემოთს
სიზმარი აუხდა
და დილით, უეცრად,
სათვალე გაუტყდა.
რაღა ქნას ბებიამ?
ვერაფერს ვერ ხედავს
და გარეთ გამოსვლას
წამითაც ვერ ბედავს.
კუს ნაცვლად შეცდომით
კურდღელთან დარეკა,
კურდღელმა კი ერთი
ამბავი ატეხა...
შეწუხდა საწყალი
და ჯავრით არ არის:
ჩაიში — მარილი,
სადილში — შაქარი.
ბოლოს გადაწყვიტა
სათვალის ყიდვა,
ძალიან დიდხანს
სარკესთან იდგა.
როდესაც უეცრად
მძივები დაებნა,
ბეჰემოთს ბოღმისგან
სულ თავგზა აებნა.
ფეხებზე ჩაიცვა
ცალ-ცალი წინდა;
სიმწრისგან თვალთაგან
ცრემლები აწვიმდა,
ფეხებზე ნასაცმელად
ხვნეშით ჩაიმუხლა,
თავზე კი ქუდის ნაცვლად
ქვაბი დაიხურა.
ძლივს მიდის ქუჩაში
მოხუცი ბებია.
გზადაგზა ნაცნობი
ქალები ხვდებიან.
ყველა თვალს არიდებს,
შეჰყურებს შიშით...
— ნეტავ, რა მოსვლია,
არავინ იცით?
ახალი სათვალე
იყიდა ბებიამ
და უმალ თვალები
სარკისკენ გაექცა
და როცა თავი
სარკეში დაინახა
გულშეწუხებული
ბებია წაიქცა.
ბებია წაიქცა,
სათვალე გაუტყდა.
წუხელ ნანახი
სიზმარიც აუხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღარბი და ჟირაფი

ოთია იოსელიანი

ერთხელ ერთმა ცნობისმოყვარე ზღარბმა იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და ჟირაფს მიადგა. მანამდე ნახატებში ჰყავდა ნანახი და არ სჯეროდა მხატვრებმა გაზვიადება იციანო.

ხედავს, რას ხედავს! — ჟირაფს ცაზე აქვს თავი მიბჯენილი.

— ეს რა ამბავია! — შეშფოთდა ზღარბი, — ხიფათის დროს ამოდენა კისერს სად დამალავო?!

— შენ ვინა ხარ?! — გაოცებულმა ჟირაფმა ზევიდან გადმოხედა. არც გაეგონა, ასეთი სულიერი თუ არსებობდა (სულ ცაში თუ იყურე, ზღარბს, მაჩვს და მუდოს როგორ დაინახავ?).

— ეჰ, ჩემი ვინაობა რა საკითხავია. — დაიმორცხვა ზღარბმა.

— არა, მაგრამ... კისერი სულ არ გაქვს?

— თით-



მის სულ არა.

– ფეხები? ზევიდან ფეხებიც არ გიჩანს.

– მაქვს, მაგრამ იმდენად მოკლე, ყურადღების ღირსი არაა.

– ზურგზე რა ეკლები წამოგიხურავს, გამშვენებს გგონია? სხვადასხვა ფერისა მაინც იყოს. ალბათ, ვერც კი ხედავ, რა ბუძგი გახურავს. – ჟირაფმა თავის მოხატულ ზურგს ზევიდან დახედა.

– ვერა... – შეწუხდა ზღარბი-ხეირიანად არც კი ვიცი, ჩემს თავს რა უბედურებაა.

ამ დროს იქვე, ლელიანში ჩასაფრებულმა ვეფხვმა იღრიალა და გადმოხტა.

– დავიღუპეთ! – აღმოხდა ჟირაფს და ისე აცახცახებული გაიქცა, შორს ვერ გაასწრებდა, მაგრამ ამ დროს მტაცებელმა ფეხი ზღარბის ეკლებს შეახია და მსხვერპლის დევნის თავი საღდა ჰქონდა, გამწარებული კოჭლობით ბუნაგისაკენ გაბრუნდა.

მოვარდა გახარებული ჟირაფი.

– შენ მე სიცოცხლე მაჩუქე! ვინ ყოფილხარ! რა ყოფილხარ! გმირი.. გმირი!..

– არა, მე ზღარბი ვარ,
მაგრამ ვეფხვიც კი ისე
ფეხს ვერ დამადგამს,
არ ავაკოჭლოთ!




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ იოსებიძე

## თუთიყუში



მილიციის მორიგესთან
ტელეფონმა იწკრიალა;
კატა მწამსო, თავგანწირვით
ვიღაცამ დაიღრიალა.
— გეხვეწებით, მომეხმარეთ,
სიმწრის ოფლი ნამომდისო,
გარდერობის თავზე ვზივარ,
მგონი აქაც ამოდისო.
— კაცი არ ხარ, შე ოხერო?!
კატამ როგორ შეგაშინა!
გარდერობის თავზე მაინც
რა ეშმაკმა აგაძვრინა!
— კაცი ვარ და მეშინია?!
არ გაივლოთ წუთით გულში,
გეხვეწებით, მომეხმარეთ,
მე გახლავართ თუთიყუში.



ნუგზარ ბახტაძე

## პეპელა

დაჯე, დაჯე, პეპელა,
სიხარულის მაყარო,
მოდი, ჩემთან დასკუპდი,
რაღაც დაღლილს გავხარო.
ვაი, ცრემლი რადა გდის,
ფრთების რა სისხლი გატყვია,
მოდი მკერდში ჩავიკრავ,
მე მოგირჩენ ნატყვიარს.
მჯერა: კვლავაც სიკეთის
გაფრინდები მძებნელად,
მეც შენთან ვარ, მხოლოდ ჯერ
დაჯე, დაჯე, პეპელა!

მხატვარი ნანა ჭურღულია

I-6293

ეროვნული ბიბლიოთეკა




რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ნია წივწივაძეს, მანანა და ნინიკო ამზიძეებს, ბონდო გასვიანს, გიორგი აზმაიფარაშვილს, ქრისტინე რატიანს, გიორგი და მარიამ ჩხოლარიებს, ეკატერინე ხარაბაძეს და ანასტასია აბაშიძეს.

მშობლების საყურადღებოდ! თუ გსურთ თქვენი პატარა ჩვენს საზეიმო სუფრასთან იხილოთ, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე, რადგან ყოველგვარ ზეიმს თავისი მოსამზადებელი დრო ახლავს.

დაგვირეკეთ: 93-10-32

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარლ ვან ლერბერგი
ბელგიელი პოეტი

# წვიმა — ჩემი დაიკო

წვიმა – ჩემი დაიკო,
ჟუჟუნა და თბილი,
წკაპ-წკუპ, მოედინება,
ჰაერია გრილი;

ლაჟვარდიდან ჩამოწყდა,
მარგალიტის მძივი,
სველ ტოტებზე წკრიალებს
ჩიტუნების სიმი;

მაშ აცეკვდით იებო,
ბუდევ – იგალობე!
მადლი მოდის ზეციდან,
უნდა გიხაროდეთ!

პირ-სახეზე მეცემა,
კისკისებს და მეხვევა,
პაწაწინა თითებით
სულ მთელ ტანზე მეკვრება,
მერე სველი ამბორით
ხენდრის ფოთლებს ეწვევა.

აწვიმს, აწვიმს მინდორ-ველს,
ყვავილების ხალიჩას,
აისი თუ დაისი,
წვიმას გააქვს თავისი.

მერე გამოიდარებს,
მზე გვეწვევა მზიანი,
ნაწვიმს იქვე ააშრობს
ოქროსკავებიანი;

ფრანგულიდან თარგმნა
**მარინე ჭილაშვილმა**

მხატვარი **ანა მგალობლიშვილი**



ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ სწორი პასუხები



მხატვარი

ლალი ლომთაძე

# გიორგი როინიშვილი 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 წელი შეუსრულდა ცნობილ მხატვარს, "დილის" სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი როინიშვილს.

ბატონმა გოგიმ, მეტად რთული და საინტერესო ხელოვანის გზა განვლო. ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტს მოუწია სამამულო ომში ბრძოლა. ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, დაამთავრა აკადემიის სრული კურსი და ჟურნალ "დილა"-ში დაიწყო მუშაობა. აქედან მოყოლებული 50 წელია იღწვის გიორგი როინიშვილი ჩვენი პატარებისათვის. "დილი"-ს ყოველი ნომერი მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით არის გაფორმებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1984 წლის მე-12, საიუბილეო ნომერი, რომლის გაცნობის შემდეგ თქვენ ადვილად ირწმუნებთ ბატონი გოგის დიდ ნიჭსა და პროფესიონალიზმს. "დილას" რომ დიდი ავტორიტეტი და სიყვარული აქვს მოპოვებული ქართველ ბავშვებ-



ში და დიდებშიც, ამაში მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დიდი წვლილიც დევს.

ბატონ გოგის კარგად იცნობენ და აფასებენ შემოქმედებით საზოგადოებაში. საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ მისი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები, საქართველოს, ძველი თბილისისა და უცხო ქვეყნების პეიზაჟები და ჩანახატები.

მას შთამბეჭდავად აქვს გაფორმებული და ილუსტრირებული მრავალი წიგნი, ლექსი თუ ზღაპარი. მათ შორის აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, ირაკლი აბაშიძის და სხვების ნაწარმოებთა ილუსტრაციები.

გიორგი როინიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამამულო და საზღვარგარეთულ გამოფენაში, და მის ნამუშევრებს სპეციალისტთა და მნახველთა დიდი მოწონება დაუმსახურებია.

ჩვენთვის, რედაქციის ახლანდელი თანამშრომლებისათვის, ნამდვილად სასიხარულოა, რომ ბატონი გოგი კვლავაც ენერგიითა და გულისხმიერებით იღწვის ახლად აღმდგარ "დილა"-ში. ჩვენც დიდი სიხარულითა და პატივისცემით, "დილი"-ს ძველ და ახალ მკითხველებთან ერთად, ვულოცავთ ღვაწლმოსილ მხატვარს ამ საიუბილეო თარიღს და კვლავაც ჯანმრთელობასა და შემოქმედებით სიმხნევეს ვუსურვებთ.





ამოჭერით ყველა ნახატი და დააწებეთ სქელ მუყაოზე. სურათები დაალაგეთ ისე, რომ გამოსახულება ქვემოთ იყოს მოქცეული. შემდეგ აიღეთ თითო ნახატი და რიგრიგობით განასახიერეთ ის პერსონაჟი, რომელიც თქვენ შეგხვდათ, ხოლო დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ თქვენს მიერ გათამაშებული როლი.

როდესაც ყველა ნახატი დარიგდება და აისახება, ისევ თავიდან უნდა აურიოთ, აჭრათ და ხელმეორედ გაითამაშოთ. გვერწმუნეთ, ასეთი თამაში დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეიძლება თუ არა ბავშვს პიროვნება ეწოდოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: პიროვნება — გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკე ადამიანი. ბავშვი ჩანასახშივე "ცალკე ადამიანია" და, როგორც დღეს უკვე მეცნიერულად დადგენილია, მუცლადყოფნის დროიდანვე ავლენს ხასიათის გარკვეულ თანდაყოლილ თვისებებს, რომლებსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებს.

ამ რუბრიკის კონსულტანტის, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ყიფიანის თქმით, ბავშვის პიროვნების აღიარებას ჩვენ, ქართველები, ქართულ ენაზე მოლაპარაკენი, საეჭვოდ არ უნდა მივიჩნევდეთ თუნდაც იმიტომ, რომ გვაქვს შესანიშნავი სიტყვა — "ორსული", რომელშიც ნათლად არის ნაგულისხმევი ორი სულის ერთდროული არსებობა. ასე რომ, ბავშვი პიროვნებაა. და ვინაიდან ასეა, როგორც პიროვნება, უფლებაც აქვს ელოდეს აღიარებასა და პატივისცემას. მაგრამ ამისთვის ბავშვს ხშირად ბრძოლა სჭირდება. გავიხსენოთ, პირველ ხანებში ბავშვი თავის თავს უმეტესად სახელით იხსენიებს: "სანდროს უნდა"... შემდეგ დგება პერიოდი, როცა ბავშვი ერთთავად "მინდა, მინდას" გაიძახის და ეს ზოგჯერ შემაწუხებელი მოთხოვნა მაინც ასე თუ ისე გასაგებია ჩვენთვის. ამას მოჰყვება უფრო მეტიც — "მე მინდა" და ჩვენ ვატყობთ, რომ ადამიანი იზრდება. დაახლოებით ორი, ორ-ნახევარი წლიდან იწყება (და ზოგჯერ საკმაოდ დიდხანსაც გრძელდება) პერიოდი, როცა ბავშვის რეაქცია ნებისმიერ, ჩვენი აზრით, მისთვის მისაღებ და მიმზიდველ წინადადებაზეც არაერთგვარია: უკომპრომისო "არა"!

რა ხდება? საშიში არაფერი, ბავშვი თავის ნებას ავლენს, მას საკუთარი აზრი გაუჩნდა. ბავშვი მომწიფდა იმისათვის, რომ წინ აღუდგეს უფროსების ნებას და თვითონ გადაწყვიტოს, რა უნდა. ეს უზარმაზარი შემართებაა — ხმამაღლა გამოაცხადო, რომ არ ეთანხმები, უპირისპირდები საყვარელი ადამიანების აზრს და გაქვს შენი აზრი, რომელსაც დაიცავ, რადაც უნდა დაგიჯდეს. როგორ მოვიქცეთ ასეთ დროს — გავუწყრეთ ბავშვს? ვაიძულოთ გააკეთოს ის, რასაც მისგან მოვითხოვთ? მაგრამ ჩვენ ხომ გვესმის, რომ ეს "არა" მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ "არ მინდა"? ეს ბავშვის პრინციპული პოზიციაა და თუკი მას დაუპირისპირ-[illegible], რომ [illegible] პატარა შვილი, როგორც [illegible] კეთილშობილი რაინდი, თავისი ღირსების საქმეზე [illegible] საკუთარი "არა"-ს, ანუ საკუთარი პიროვნების დაცვას. ეს ბრძოლა შეიძლება ხანგრძლივი და ულმობელი აღმოჩნდეს და მშობლის გამარჯვება არ იქნება ძალიან საამაყო, რადგან ამას "მივაღწევთ" მხოლოდ ბავშვის პიროვნების დაბეჩავების ფასად. მაგრამ თუკი მშობლებს აქვთ უნარი, აღიარონ ბავშვის პიროვნება, პატივი სცენ მის გამბედაობას და შემართებას, თუკი სურთ, რომ მათი შვილი იყოს პიროვნება და არა მარიონეტი, ისინი არ შეეცდებიან მოიგონ ეს ბრძოლა, გაათელონ პატარა ადამიანი, მოერიონ სუსტს, პირიქით, გაგებით და მოთმინებით შეხვდებიან ბავშვის "მე"-ს განვითარების ამ საკმაოდ რთულ ეტაპს.

მაინც როგორ მოვიქცეთ? ცნობილი ბავშთა ფსიქოლოგი ჯ. ლებანი გვირჩევს, ეს "არა" თამაშად გადავაქციოთ. ჩვენვე მოვაყოლოთ "არა" ყველა წინადადებას. მაგალითად ვკითხოთ პატარას: "გინდა ვაშლი?" და ჩვენვე ვუპასუხოთ: "არა! არა! არა!" ან "არავითარ შემთხვევაში არ გაიხეხო კბილები ძილის წინ, არა! არა!" თუ ამას მხიარული ტონით, ეშმაკური გამომეტყველებით ვიტყვით, ბავშვიც ასევე მიიღებს ჩვენს სიტყვებს და ეს დაეხმარება გაიგოს, რომ ყველაფერზე "არა"-ს თქმა სულ არ არის საინტერესო და შედეგიანი გზა საკუთარი "მე"-ს დასამკვიდრებლად.

ცხადია, არის შემთხვევები, როცა ბავშვი აუცილებლად უნდა ვაიძულოთ გააკეთოს ის, რის წინააღმდეგაც მთელი თავისი ენერგიით იბრძვის — დავალევინოთ წამალი, გავუკეთოთ ნემსი და ა.შ. ასეთ დროს ბავშვის "არა" უნდა დავძლიოთ, მაგრამ, უნდა დავძლიოთ მშვიდად, დაყვავებით. ბავშვს შეიძლება წინასწარ უთხრათ: "მაიკო, ეს წამალი მწარეა, მაგრამ ახლა სიცხე გაქვს და უნდა დალიო". ან ასე: "გიორგი, ნემსი უნდა გაგიკეთოთ. ცოტა გეტკინება. ვიცი, რომ ნემსის გეშინია, ნემსის ყველას ეშინია, მაგრამ უცებ გაგივლის. უნდა მოითმინო. შენ ხომ მამაკაცი ხარ".

რა თქმა უნდა, ბავშვი მაინც იტირებს, მაგრამ მას [illegible], რომ თქვენ გესმით მისი, რომ თქვენ მის მხარეზე ხართ, და ის, რომ ატკინეთ, ახირებული ძალადობა კი არ არის მის მიმართ, არამედ აუცილებელი და საჭირო ქმედება. ბავშვის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ პატივისცემის ღირსია. ბავშვი უნდა გრძნობდეს ჩვენს მხარდაჭერას და თანადგომას ზრდის ამ რთულ გზაზე. ის უნდა ხედავდეს, რომ პიროვნულ ზრდასთან ერთად იზრდება მისი უფლებები და, ცხადია, მოვალეობებიც. თუ ასე მოხდა, მაშინ ზრდის ეს სტადია ახალი ადამიანის ფორმირების სრულიად ნორმალურ, ბუნებრივ ეტაპად აღიქმება და აღარ დაემსგავსება მშობლებსა და შვილებს შორის განუწყვეტელ დუელს, როდესაც ყოველი "არა"-ს გადალახვა თუ დაცვა ორივე დაპირისპირებული მხარის თავმოყვარეობის საკითხი ხდება. ამგვარი მხარდაჭერა პატარა ადამიანს განუმტკიცებს საკუთარი თავის რწმენას, და შეგნებას, რომ მშობლებს მისი ესმით, აღიარებენ მის პიროვნებას და მისი იმედიც აქვთ.

# ჩემი შვილი სულ ავად არის...

ზოგიერთ ბავშვს, განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში, ხშირად ემართება მწვავე რესპირატორული დაავადება, რასაც ჩვეულებრივ "გაციებას"- ვეძახით. მშობლები შიშობენ, ასე ხშირი ავადმყოფობის მიზეზი იმუნური სისტემის სისუსტე ხომ არ არის, ბავშვის ორგანიზმს ინფექციისადმი წინააღმდეგობის უნარი დაქვეითებული ხომ არა აქვსო. პედიატრს შეუძლია დაადგინოს რეალური სურათი ბავშვის იმუნური სისტემის ღრმა და მიზანმიმართული გამოკვლევის მეშვეობით, მაგრამ ასეთი დეტალური გამოკვლევა ყოველთვის არ ხერხდება და მშობლების ეჭვი მაინც ეჭვად რჩება.

შევეცდებით შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მათ და ზოგი რამ განვუმარტოთ.

წელიწადში რამდენი ავადმყოფობა შეიძლება ბავშვისათვის "ნორმალურად" ჩაითვალოს?

"გაციების"სიხშირე დიდად არის დამოკიდებული ბავშვის კონტაქტებზე "გარე სამყაროსთან", მნიშვნელობა აქვს იმასაც, დადის თუ არა ის საბავშვო ბაღში. 3 წლის ასაკამდე ბავშვისათვის, თუ ის ერთადერთი შვილია და ოჯახს გარეთ კონტაქტი ნაკლებად აქვს, ექვს თვეში სამჯერ ან ოთხჯერ გაციება განსაკუთრებული შეშფოთების საგანი არ შეიძლება გახდეს.

თუ ამავე ასაკის ბავშვს და-ძმა ჰყავს, ან ის ბაგაში თუ ბაღში დაჰყავთ, დაავადების "გადადების" საფრთხე მეტია, და ამიტომ ნახევარ წელიწადში ხუთჯერ ან ექვსჯერ ავადმყოფობა მეტ-ნაკლებად დასაშვებად არის მიჩნეული. ასევე არ არის საგანგაშო ექვსი თვის მანძილზე 5-6-7 "გაციება" 3 წლიდან სასკოლო ასაკამდე - საბავშვო ბაღში მოსიარულე ბავშვებისათვის. სასკოლო ასაკის ბავშვისთვის დასაშვებია ექვსი თვის მანძილზე სამჯერ ან ოთხჯერ ავადმყოფობა.

ზემოთ ნათქვამი ეხება ბანალურ მწვავე რესპირატორულ დაავადებას, რომელსაც ახლავს ცხვირში სისველე, სუნთქვის გაძნელება, ხშირად ხანმოკლე სიცხის აწევა. ასეთი ავადმყოფობა 3-5-7 დღეში გაივლის, ისე რომ განსაკუთრებული მედიკამენტური ჩარევა საჭირო არ არის.

აქ არაფერს ვამბობთ ისეთ დაავადებებზე, როგორიც არის წითელა, წითურა, ჩუტყვავილა, ყბაყურა ან ბავშვთა რომელიმე სხვა ინფექცია ანუ როგორც ჩვენში ვეძახით, სახადი ასევე არ იგულისხმება მწვავე და ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ანთება, კრუპი, ჩირქოვანი ანგინა... რომელთა დროსაც აუცილებელია ანტიბიოტიკებით მკურნალობა.

"გაციება" ისეთი დაავადებაა, რომლის მიმართ ბავშვის მგრძნობელობაც დიდად არის დამოკიდებული სწორ აღზრდაზე, ცხოვრებისა და კვების რეჟიმზე. თუ ბავშვი, დიდ დროს ატარებს სუფთა ჰაერზე, თუ საკმარისად სძინავს, ცილებითა და ვიტამინებით მდიდარ, სრულფასოვან საკვებს იღებს, მაშინ ის ხალისიანია და ავადმყოფობისადმი ნაკლებად მიდრეკილი. თუ ბავშვს გამუდმებით ფუთნიან, ერთთავად დახუთულ ოთახში ჰყავთ გამოკეტილი, თუ ის დილიდან საღამომდე ტელევიზორთან არის და ტკბილეულს მიირთმევს, ასეთი ბავშვი აგზნებული და ჭირვეულია, ბანალური ინფექციების მიმართ ნაკლებ გამძლეობას იჩენს და ხშირადაც ავადმყოფობს.

ამიტომ გვინდა მშობლებს ვურჩიოთ, უპირველესად ყურადღება მიაქციონ ბავშვის ცხოვრების სწორი რეჟიმის დაცვას



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# გააფერადე და გამოჭერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე ეცვათ გოგონებს ამ საუკუნის დასაწყისში

მხატვარი ნანა იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა




როდის დაარსდა ჟურნალი "დილა"? რა ერქვა მას თავდაპირველად, რა დაერქვა შემდეგ? როდის ეწოდა "დილა" და ვისი მეცადინეობით?

ვინც სწორ და ყველაზე ამომწურავ პასუხს გამოგვიგზავნის. და თან სხვაზე ადრე მოგვაწვდენს ხმას, გამარჯვებულიც ის იქნება. საჩუქრად გამარჯვებულს მთელი წლის მანძილზე უფასოდ გაეგზავნება ჟურნალი "დილა". გარდა ამისა მისი ვინაობა გამოცხადდება ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.

# შეაერთე წერტილები



# ანის გასართობი

თამარ [illegible]

ეს ხტუნია კატუნია
შეკურკურებს კატის კნუტებს:
ტყეში ერთი ბატია და
აკნატუნებს ბატიბუტებს.

# გამოცანა

ელვისებრ ჩნდება,
ვიმალება და [illegible],
ხვრელზე [illegible]
[illegible]

გააფერადეთ ნომრების მიხედვით...



1. თეთრი
2. ყვითელი
3. წითელი
4. მწვანე
5. ცისფერი

# ლექსიკონი

## ბ

**ბაბაჯანი** — ძველად სიგრძის საზომი იყო, როგორც გოჯი, ციდა, მტკაველი (ეს სიტყვები ხომ გაგიგონიათ?) და უდრიდა მანძილს გაშლილი სალოკი (საჩვენებელი) თითისა და შუათითის წვერებს შორის. გოჯი ერქვა მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე (ესე იგი გოჯის სიდიდე იგივე იყო, რაც ცეროდენაა, არა?). ორივე ცერის გოჯებს, სიგრძეზე შეყრილს, გოჯეულს ეძახდნენ.

ახლა თქვენ თვითონ დაადგინეთ, რა სიგრძე ჰქონდა ციდას ან მტკაველს. იქნებ ამ სიტყვების გადატანითი მნიშვნელობებიც გაიხსენოთ. მაგალითად, ძალიან პატარას რა ჰქვია ხატოვანად? ან სულმოკლე, სულმდაბალ, გუნლამცეცა ადამიანზე რა სიტყვას იტყვიან?

**ბაზაფხული** — წელიწადის ნაოთხალი, ანუ მეოთხედი. სამი თვე — მარტი (მირკანი), აპრილი (იგრიკა) და მაისი (ვარდობისა). წელიწადის დანარჩენ სამ ნაოთხალს რა სახელები ჰქვია და რა თვეებია თითოეულში? იქნებ ამ თვეების ძველი სახელებიც მონახოთ.

**ბალავანი** — ქვითკირის ან ალიზის ზღუდე, რომელიც გარს ევლება ქალაქს, ციხე-სიმაგრეს, ეზო-მიდამოს.

რა ჰქვია წნელით ან ძეძვით შეკრულ, ანდა მიჯრით ჩაწყობილი ხის ძელებით შეკრულ ზღუდეებს; უკიროდ, შეუდუღაბებლად ნაგებ ქვის კედელს? იქნებ სხვა მასალით — ძელებით, ეკლიანი ტოტებით, ლერწმით ან ლელით გაკეთებული ზღუდეების სახელებსაც მიაგნოთ.

**ბალოპრილი** — ქერქშეძრცვილი ხე.

**ბამზრდელი** ვაჟის გამზრდელს ჰქვია. ჩვილი გოგონას გამზრდელს?

**ბატრიზავება** — არაფრად ჩაგდება, გაბიაბრუება, აგდება. „კარგი სიტყვა რომ წაუხდინოს მტერობით".

**ბაძგიფვა** — ოდნავ შეყინვა.

**ბელმატო** — „უგემური ჭამადი".

**ბერბილი** — სიმარჯვე, ფხა, შნოიანობა, მოხერხებულობა. გერგილიანი — საქმის მარჯვედ მქმელი".

**ბორბომიჭელა** — ნაჭუჭშემოცლილი (უხეჭბო), მთელ-მთელი ნიგოზი.

**ბოჩბოჩანა** — ჩანჩქერის ზვირთი.

**ბულისყური** — დღეს ნიშნავს ყურადღებას, ინტერესს, გულისხმიერებას. წინათ ნიჭუნარზე იტყოდნენ („მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიხვდომა და ქმნა").

**ბურბური** — აგიზგიზებული ცეცხლის ხმაური.

**ბუჯაბი** — ქადის, კუპატის, ღვეზელის სატენი, გული.

რამდენი კარგი სიტყვა მოგაწოდეთ: გამოიყენეთ ეს სიტყვები და შეადგინეთ რამე მოთხრობა ან ამბავი.


მთავარი რედაქტორი ლოლო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

ყდაზე ნახატი ბესო ხიდაშელისა

ქაღალდის ზომა 60X84 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5 შეკვეთა № X-11

ფასი სახელშეკრულებო

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14 ტელ: 93-41-30 93-10-32

დაიბეჭდა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში ფორე მოსულიშვილის ქ. №1

რამდენი კვანძია თითოეულ სახტუნელაზე?

რომელი სახტუნელაა ყველაზე მოკლე?

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ნანა იოსელიანი